საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი და კურორტების ზოგიერთი გეოგრაფიული მახასიათებელი

რუსუდან ელიზბარაშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს რეკრეაციული და საკურორტო პოტენციალის ზოგიერთი მახასიათებელი, საქართველოს კურორტების (ოფიციალური ნუსხის მიხედვით) ტიპები, გეოგრაფიული მდებარეობა ადგილის, სიმაღლის და რელიეფის ფორმის მიხედვით, კურორტებზე მინერალური წყლის ტიპები და კურორტების სამკურნალო პროფილი.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს კურორტების უდიდესი ნაწილი კლიმატური (თითქმის ნახევარი) და ბალნეოლოგიური პროფილისაა. ამგვარი ვითარება მკაფიოდ მეტყველებს საქართველოს კლიმატურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, მინერალური (თერმული) წყლების დიდ რაოდენობაზე, აგრეთვე მთიანი რელიეფის და მაგმური წარმოშობის გეოლოგიური აგებულების მასშტაბებზე. ყოველივე ეს აისახება კლიმატური, ბალნეო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების დიდ რაოდენობაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კურორტი, რეკრეაცია, პოტენციალი, გეოგრაფია

GEORGIA'S RESORT AND RECREATIONAL POTENTIAL AND SOME GEOGRAPHICAL CHARACTERISTICS OF RESORTS

Rusudan Elizbarashvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
PhD student of Human geography

Abstract

The article discusses some characteristics of Georgia's recreational and resort potential, types of Georgian resorts (according to the official list), geographical location according to the height of the place and the shape of the relief, types of mineral water at the resorts and the healing profile of the resorts.

As a result of the research, it was established that the majority of Georgian resorts are of a climatic (almost half) and balneological profile. Such a situation clearly indicates the climatic and biological diversity of Georgia, the large number of mineral (thermal) waters, as well as the scale of the mountainous terrain and the geological structure of magmatic origin. All this is reflected in the large number of climatic, balneo-climatic and balneological resorts.

Keywords: Georgia, resort, recreation, potential, geography

შესავალი

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ ძირითად საკურორტო ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი. მისი მრავალფეროვნება განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და შავი ზღვის არსებობით, ამიტომ კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოხატული თერაპიული თვისებებით და გამოიყენება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ (სააკაშვილი, თარხან – მოურავი და სხვ. 2011).

საქართველოს **ბუნებრივი მრავალფეროვნება** გამორჩეულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. აქ შვიდ ათეულზე მეტი ბუნებრივი

ლანდშაფტია წარმოდგენილი. მის ვაკე-დაბლობებზე ვხვდებით როგორც ნოტიო კოლხურ ტყეებს, ისე სემიჰუმიდურ სტეპებს და ბუჩქნარებს, სემიარიდულ ნათელ ტყეებს და ნახევრადუდაბნოებს. მთებში რამდენიმე ბუნებრივი ზონაა წარმოდგენილი – დაწყებული ნოტიო სუბტროპიკული ჰემიჰილეებით და დამთავრებული ნივალურ-გლაციალური ლანდშაფტებით (ნ. ელიზბარაშვილი, 2016). ამგვარი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპიკული და ზომიერი სარტყლის მიჯნაზე), გაუყინავი შავი ზღვის სიახლოვე და სიმაღლებრივი სარტყლურობა (ზღვის დონიდან 5200 მეტრამდე).

საქართველო მსოფლიოში ასევე გამოირჩევა **„პირველადი“,** ხელუხლებელი ბუნებრივი გარემოს (ტერიტორიების) მაღალი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 15%-ზეა წარმოდგენილი. საქართველოს ტერიტორიის 2/5 ტყეებითაა დაფარული, რაც უდიდესი ეკოლოგიური რესურსია. აქ გვხვდება 15 ათასზე მეტი სახეობის მცენარე, რომელთა შორისაა 4 ათასზე მეტი თესლოვანი, 75 გვიმრისებური და 2600 წყალმცენარე. მცენარეულობის 6.0% ანუ 900-მდე სახეობა, ენდემური და რელიქტურია. ცოცხალი სამყაროს სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმის და ბიომრავალფეროვნების მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის, რაც მკაფიოდ მეტყველებს მისი ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებასა და განუმეორებლობაზე (ნ. ელიზბარაშვილი, 2016, საქართველოს გეოგრაფია, 2000, საქართველოს ლანდშაფტური... 2000).

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნების ასეულობით ისეთი **ძეგლია,** რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მათ შორისაა დინოზავრების ათეულობით ნაკვალევი, მსოფლიოში სიდიდით და სიღრმით გამორჩეული მღვიმეები, უხვწყლიანი მდინარეები, სხვადასხვაგვარი წარმოშობის ტბები, ულამაზესი მყინვარები, უნიკალური დაცული ტერიტორიები და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუნების მრავალფეროვნება მცირე ფართობზეა წარმოდგენილი, რაც ზრდის საქართველოს რეკრეაციულ დანიშნულებას.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას, კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის, შედარებითი ანალიზის და კლასიფიკაციის, ინტერპოლაციის და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემატიზაციის მეთოდები, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის და განზოგადების მეთოდი, საველე კვლევის შედეგების ანალიზის და კამერალური კვლევის მეთოდები.

შედეგები

1. საქართველოს რეკრეაციული პოტენციალის ზოგიერთი მახასიათებელი

საქართველო **ლანდშაფტების რაოდენობით** მე-12 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო პირველ ადგილზე – ევროპაში. იგი ამ მაჩვენებლით ჩამორჩება მხოლოდ ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა ჩინეთი, აშშ, რუსეთი, ავსტრალია, მექსიკა, ინდოეთი, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, თურქეთი და ჩილე. თუ ლანდშაფტების რაოდენობას დავუკავშირებთ ტერიტორიის ფართობს, მაშინ ლანდშაფტური მრავალფეროვნების მიხედვით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოჩნდება (საქართველოს ლანდშაფტური და ... 2000). ამგვარი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული მიმზიდველობის უმთავრესი ფაქტორია.

საქართველო **ევროპაში** არ გამოირჩევა არც გეომეტრული პარამეტრებით და არც სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით. თუმცა, მიუხედავად მცირე ფართობისა, ჩვენს ქვეყანაში გვხვდება ევროპის ლანდშაფტური ერთეულების ყველა ტიპი და ცოცხალი სამყაროს ვერტიკალური განაწილების ყველა ფორმა. საქართველო ფლორის სახეობათა რაოდენობით აღემატება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვ. ჩვენ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ ძუძუმწოვრებისა და ფრინველების სახეობათა რაოდენობით,

ხელუხლებელი ტყეების ხვედრითი წილით და გარემოზე აქტიური ანთროპოგენული ზემოქმედების ხარისხის მიხედვით (საქართველოს ლანდშაფტური.. 2000). საქართველო ევროპაში, ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით, გამოირჩევა ბუნების ცალკეული კომპონენტების (წითელმიწები, რელიქტები, იშვიათი სახეობები, არაორგანული ბუნების ძეგლები და სხვ.) სიუხვითაც (ნ. ელიზბარაშვილი და სხვ., 2013).

საქართველოში ათასობით **ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა,** 12 ათასი ისტორიული ძეგლი და ასზე მეტი მუზეუმია. აქ, ასევე, ძალიან მაღალია ე.წ. გენეტიკური და აგრობიომრავალფეროვნების მაჩვენებლებიც. საქართველოში, უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანაში, კულტურული მცენარეების გამოსაყვანად იყენებდნენ ველურ მცენარეთა მრავალფეროვნებას. გამოყვანილია ვაზის 500-მდე ჯიში, დედამიწაზე ცნობილი ხორბლის 29 სახეობიდან საქართველოში აღწერილია 14, რომელთა შორის 5 ენდემურია. მსოფლიოში, ასევე, ცნობილია ქართული კულტურული მცენარეების და შინაური ცხოველების (ცხენის, ძროხის, ცხვრის, ფუტკრის, ძაღლის, ქათმის და სხვ.) ადგილობრივი სახეობები (ნ. ელიზბარაშვილი, 2013, 2016).

საქართველოს ჰავა უმეტესწილად **ზომიერი და კომფორტულია.** მისთვის დამახსიათებელია ზომიერად თბილი ზაფხული და გრილი ზამთარი. მთებში ჰაერის ტემპერატურა კლებულობს და აქ ზაფხულობით ძალზე კომფორტული რეკრეაციული პირობები იქმნება. **საზღვაო კურორტთა** მაღალ ესთეტიკურ გარემოსთან ერთად (მთისა და ზღვის ჰაერის შეხამება, მდიდარი მცენარეულობით გამორჩეული ლანდშაფტები), დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის ბალნეოლოგიურ თვისებებს. მისი წყალი ნაკლები მარილიანობით და ზაფხულის შედარებით დაბალი ტემპერატურით გამოირჩევა. ამის გამო იგი გაცილებით „კომფორტულია“ სუბტროპიკული თუ ტროპიკული სარტყლის სხვა ზღვებთან შედარებით. ამასთან ერთად, შავი ზღვის კომფორტულობას განაპირობებს სანაპირო დინების შედარებით მცირე (0.9 კმ/სთ) სიჩქარე, შტორმებისა და საშიში ღელვის მაჩვენებლების დაბალი დონე საკურორტო სეზონზე და საშიში ზღვის ცხოველების არარსებობა.

საქართველოს რეკრეაციულ მნიშვნელობას კიდევ უფრო განუმეორებელს ხდის კავკასიაში გამორჩეული **ისტორიული, ეთნოგრაფიული და კულტურული** მრავალფეროვნება. ცივილიზებულ მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე ინტერესდებიან ქართველი ხალხის თვითმყოფადი კულტურითა და ხელოვნებით, ადგილობრივი რეწვით, არქიტექტურით, ქართული მეღვინეობის ტრადიციებით და სამზარეულოთი. საუკუნეების მანძილზე ცივილიზებული მსოფლიო მუდმივად ინტერესდებოდა ქართველი ხალხის თვითმყოფადი სამეურნეო კულტურით, ხელოვნებით, არქიტექტურით, ყოფა-ცხოვრებით, სამზარეულოთი და ტრადიციებით.

საქართველოში **ტურიზმი** მეურნეობის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ნაწილი ხდება, რასაც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო, დაცული ტერიტორიების სისტემა, საკურორტო პოტენციალი, ეკოლოგიურად ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, მიმზიდველი ეთნოკულტურული თავისებურებანი და უნიკალური ისტორიული ძეგლები განაპირობებს. ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს მისი რეკრეაციული მეურნეობის ტრადიციებიც, რაც მე-20 საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბდა. ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი სტუმრობდა, რასაც ასეულობით ტურისტული და რეკრეაციული დაწესებულება ემსახურებოდა.

2. საქართველოს საკურორტო პოტენციალის ზოგიერთი მახასიათებელი

საქართველო კურორტებით განთქმული და ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში. აქ შეხვდებით როგორც საზღვაო კურორტებს და მაგნეტიტური ქვიშის პლაჟებს, ისე სამკურნალო დანიშნულების მინერალური და თერმული წყლებით გამორჩეულ ადგი-

ლებს, სამთო-კლიმატურ, კლიმატურ და სამთო-სათხილამური კურორტებს (რ. ელიზბარაშვილი, 2020, 2023).

ზოგიერთი კურორტი (ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, ბაკურიანი, მესტია) საყოველთაოდაა ცნობილი. სამწუხაროდ, ცოტა რამ თუა ცნობილი ისეთი მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტების შესახებ, როგორიცაა: თბილისი, შოვი, უწერა, ციხისჯვარი, ნუნისი, მენჯი, ლებარდე, ლუგელა და სხვ.

საქართველო მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებით. საქართველოში მოიპოვება 2000-ზე მეტი მინერალური წყალი, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს, ხოლო 300-ზე მეტი მიიღება ჭაბურღილებიდან. აღნიშნული მინერალური წყლების ქიმიური და ფიზიკური თავისებურებები მიანიშნებს ამ წყლების უმრავლესობის სამკურნალო თვისებებზე (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, 2011).

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 103 კურორტი (102 კურორტი – საქართველოს კურორტები, 1989; 105 კურორტი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №655, 2005, https://uk.search.yahoo.com) და 167 საკურორტო ადგილი (169 საკურორტო ადგილი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №655, 2005). გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში მრავლადაა სამკურნალო ჰავისა და სამკურნალო მინერალური წყლების მქონე დასახლებული პუნქტი, შესაძლებელია, საკურორტო ადგილების რიცხვმა ათასსაც გადააჭარბოს (სააკაშვილი, თარხან-მოურავი და სხვ. 2011).

საქართველო გამოირჩევა უნიკალური მცენარეულობით, რომლებიც სხვადასხვა ლანდშაფტს და მიკროკლიმატს ქმნის. ამგვარი მახასიათებლები თითქმის უსასრულოდ ზრდის კლიმატური კურორტებისა და საკურორტო ადგილების რიცხვს. რეალურად, მინერალურ და მცენარეულობასთან (განსაკუთრებით წიწვოვან, შერეულ, სუბალპურ და კოლხურ ტყეებთან) დაკავშირებული კლიმატის სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე, საქართველოში უამრავი, ათასობით საკურორტო ადგილია.

საქართველოში აგრეთვე მოიპოვება და ეფექტურად გამოიყენება სამკურნალო ტალახები – პელოიდები. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები (ჰავა, მინერალური წყლები) ან სათანადოდ არ გამოიყენება, ან მათი ათვისება ხდება არასწორად, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, და სხვ. 2011, https://iverieli.nplg.gov.ge).

საქართველოში გვხვდება **კურორტის ყველა ტიპი,** რაც კი ცნობილია მსოფლიოში. მათ შორის ძირითადია საზღვაო, მთის და კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები. ასევე აღსანიშნავია საქართველოში საკურორტო მეურნეობის და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1) ძირითადი კურორტები განლაგებულია კლიმატურად კომფორტულ ზონაში, ანუ ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე;
2) ქვეყნის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია კურორტების და რეკრეაციული ობიექტების მაღალი სიმჭიდროვე;
3) საქართველოს კურორტები გამოირჩევა მაღალი გამაჯანსაღებელი პოტენციალით და მრავალფეროვნებით, რაც უკავშირდება კარდიოლოგიურ, ნევროლოგიურ, გასტროენტეროლოგიურ, კანის, ძვალ-სახსრების და სხვა დაავადებების ეფექტურ მკურნალობას (N. Elizbarashvili, act., 2021, 2025).

საქართველოში ცნობილია **დასახლებათა** ისეთი ფუნქციური ტიპი, როგორიცაა ქალაქი-კურორტი, დაბა-კურორტი ან სოფელი-კურორტი. ამგვარად, ქალაქებად შეიძლება ჩაითვალოს ქობულეთი, ბორჯომი, წყალტუბო და სხვ. ისინი საკურორტო მეურნეობის განვითარების და რეკრეაციული დაგეგმარების საპილოტე ტერიტორიებად შეიძლება იქცეს. საკურორტო მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი, ასევე, შეიძლება ითამაშონ დაცულმა ტერიტორიებმა, როგორც ჯანსაღი ბუნებრივი გარემოთი გამორჩეულმა ადგილებმა და შემეცნებითი ტურიზმის ობიექტებმა.

ნახ. 3. აჭარის სანაპირო (საზღვაო კურორტების – მწვანე კონცხი, ჩაქვი, ქობულეთი – ზონა)

3. საქართველოს კურორტების და საკურორტო ადგილების ოფიციალური ნუსხა

საქართველოს კურორტების ნუსხა და მათი არაერთი მახასიათებლის აღწერა მოცემულია **საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება** №655-ში (https://uk.search.yahoo.com), რომელიც მიღებულია 2005 წლის 22 ივლისს. საქართველოს კურორტების ნუსხა მოიცავს 105 ერთეულს, რომლებიც დახასიათებულია ადმინისტრაციული რაიონის (მუნიციპალიტეტის), ტიპის, ადგილის სიმაღლის და სამედიცინო პროფილის მიხედვით.

ცხრ.1. საქართველოს კურორტების ნუსხა, სტატუსი და კლასიფიკაცია ტიპის, მდებარეობის, მინერალური წყლის ტიპის და სამკურნალო პროფილის მიხედვით (ნუმერაციით მოცემულია კურორტის მახასიათებელთა საკლასიფიკაციო ერთეულები)

კურორტის დასახელება	ადმინისტრაციული ერთეული	კურორტის ტიპი	სიმაღლე ზღვის დონიდან	მინერალური წყლის ტიპი	სამკურნალო პროფილი
აბასთუმანი	ადიგენი	კლიმატო-ბალნეოლოგიური **1**	1260 მ **4**	სულფიდური **1**	ფტიზიატრიული (ფილტვების), ართოლოგიური **1**
აგუძერა	გულრიფში	კლიმატური **2**	ზღვისპირი, **1**	------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **2**
ავადხარა	გუდაუთა	კლიმატო-ბალნეოლოგიური **1**	1650 მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური, პულმონოლოგიური **3**
ამაღლება	ვანი	ბალნეოლოგიური **3**	140 მ. **2**	ნახშირმჟავა **2**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ანაკლია	ზუგდიდი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	---------	პულმონოლოგიური **5**
არხილოს კალო	დედოფლისწყარო	კლიმატური **2**	670მ. **6**	--------	ნეფროლოგიური **6**

ასპინძა	ასპინძა	ბალნეოლო- გიური **3**	1050მ **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), დერმატოლოგიური **4**
ახალდაბა	ბორჯომი	კლიმატო- ბალ- ნეოლოგიური **1**	790მ.II-2-ა. **3**	სულფიდური **1**	პროფილაქტიკური, პულმონლოგიური, ართროლოგიური **2**
ახალი ათონი	გუდაუთა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	---------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური **2**
ახალციხე	ახალციხე	ბალნეოლო- გიური **3**	980მ. **6**	ნახშირმჟავა **2**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **7**
ახტალა	გურჯაანი	ტალახით სამკურნალო **4**	410 მ. **3**		ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური (ცერებრული დამბლისა და პოლიომიელეტის ნარჩენი მოვლენები) **4**
ბაზალეთის ტბა	დუშეთი	კლიმატური **2**	900 მ **3**	----------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური **8**
ბათუმი	ბათუმი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური **8**
ბაკურიანი	ბორჯომი	კლიმატური **2**	1700 **4**	--------	პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური, პულმონოლოგიური **9**
ბახმარო	ჩოხატაური	კლიმატური **2**	1900 **5**	--------	პროფილაქტიკური, **10**
					პულმონოლოგიური **2**
ბაღიათა	ჯავა	ბალნეოლო- გიური **3**	1200 მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო- ლოგიური **3**
ბესლეთი	სოხუმი	ბალნეო- კლიმატური **5**	ზღვისპირი **1**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ბეშუმი	ხულო	კლიმატური **2**	1900 **5**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **2**
ბიისი	გორი	კლიმატო- ბალნეოლო- გიური **1**	900 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ბიჭვინთა	გაგრა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური **10**
ბორჯომი	ბორჯომი	ბალნეო- კლიმატური **5**	800- 1000მ. **3**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო- ლოგიური **11**
ბუგეული	ამბროლაური	ბალნეო- კლიმატური **5**	560 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**

გაგრა	გაგრა	კლიმატო-ბალნეოლო-გიური **1**	ზღვისპირი **1**	სულფიდური **1**	პროფილაქტიკური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (ცნს), პულმონოლოგიური **4**
განთიადი	გაგრა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური **10**
გომის მთა	ოზურგეთი	კლიმატური	1900 **4**	--------	პროფილაქტიკური **10**
გორიჯვარი	გორი	ბალნეო-კლიმატური **5**	600 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
გორმაღალა	სამტრედია	ბალნეო-ლოგიური **3**	200 მ. **2**	სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**
გრიგოლეთი	ლანჩხუთი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) **2**
გუდაუთა	გუდაუთა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური **9**
გულრიფში	გულრიფში	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, ფტიზიატრიული (ფილტვების) **1**
გუმისთა	სოხუმი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **3**
ეშერა	სოხუმი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური ნევროლოგიური (ცნს) **5**
ვაჟას წყარო	დუშეთი	ბალნეო-კლიმატური **5**	1100 მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური **11**
ვარძია	ასპინძა	ბალნეო-კლიმატური **5**	1100 მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	ართროლოგიური **4**
ზეკარი	ბაღდათი	ბალნეო-კლიმატური **5**	780 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**
ზვარე	ხარაგაული	ბალნეო-კლიმატური **5**	600 მ. **3**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური **11**
თბილისის	თბილისი	ბალნეო-ლოგიური **3**	450 მ. **6**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, **4**
ბალნეოლო-გირი კურორტი					ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **12**
თეთრიწყარო	თელავი	კლიმატო-ბალნეო-ლოგიური **1**	1350 მ. **4**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს) **4**
თორღვას აბანო	თელავი	ბალნეო-კლიმატური **5**	1850 **4**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
კვერეთი	საჩხერე	ბალნეო-კლიმატური **5**	750 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**

კიკეთი	გარდაბანი	კლიმატური **2**	1100 მ. **3**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
კინდღი	ოჩამჩირე	კლიმატო-ბალნეოლო-გიური **1**	ზღვისპირი **1**	ქლორიდული **3**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური **4**
კოდიბანი	ჯავა	ბალნეოლო-გიური **3**	1120მ. **4**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, გინეკოლოგიური **4**
კოჯორი	გარდაბანი	კლიმატური **2**	1350 მ. **4**		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
კუმისი	გარდაბანი	ტალახით სამკურნალო **5**	480 მ. **6**	ტალახი **4**	ართროლოგიური, ნევროლოგიური(პნს), გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური **4**
კურსები	ტყიბული	ბალნეო-კლიმატური **5**	350 მ. l -2-ა. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ლაგოდეხი	ლაგოდეხი	ბალნეოლო-გიური **3**	550 მ. **6**	სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**
ლაშიჭალა	ცაგერი	ბალნეო-კლიმატური **5**	900 მ. **3**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს) **11**
ლებარდე	მარტვილი	კლიმატო-ბალნეოლო-გიური **1**	1600მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	პროფილაქტიკური, გასტროენტერო-ლოგიური **11**
ლესელიძე	გაგრა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური **5**
ლიბანი	ბორჯომი	კლიმატური **2**	1370მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	ფტიზიატრიული (ფილტვების), გასტროენტერო-ლოგიური **1**
მალთაყვა	ფოთი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
მანგლისი	თეთრიწყარო	კლიმატური **2**	1200მ. **4**		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
მახინჯაური	ხელვაჩაური	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური **8**
მენჯი	სენაკი	ბალნეოლო-გიური **3**	29 მ. **2**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
მიუსერა	გუდაუთა	კლიმატური **2**	36-60 მ. **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური **8**
					ნევროლოგიური **12**
მუაში	ლენტეხი	ბალნეო-კლიმატური **5**	1250 – 1300 მ. . **4**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური, ართროლოგიური, პულმონოლოგიური **11**

მწვანე კონცხი	ხელვაჩაური	კლიმატური **2**	72 მ. **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) **5**
ნაბეღლავი	ჩოხატაური	ბალნეოლო-გიური **3**	480მ.. **3**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო-ლოგიური **11**
ნაგუთნი	ზნაური	ბალნეოლოგი-ური **3**	**3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**
ნასაკირალი	ოზურგეთი	ბალნეოლო-გიური **3**	200მ. **3**	ქლორი დულ-ნატრიუ-მიანი **5**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ნოქალაქევი	სენაკი	ბალნეოლო-გიური **3**	**2**	სუსტად სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
ნუნისი	ხარაგაული	ბალნეოლო-გიური **3**	**3**	სუსტად სულფიდური **1**	დერმატოლოგიური **30**
ოქროს ნაპირი	გუდაუთა	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური **8**
ოქროყანა	გარდაბანი	კლიმატური **2**	670 მ. **3**	--------	პროფილაქტიკური **10**
ოჩამჩირე	ოჩამჩირე	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური **8**
პატარა ცემი	ბორჯომი	კლიმატური **2**	1370მ. **4**	--------	პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული (ფილტვების) **4**
რიწა	გუდაუთა	კლიმატური **2**	900მ. **3**	--------	ართროლოგიური, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური, კარდიოლოგიური **4**
საირმე	ბაღდათი	ბალნეოლო-გიური **3**	950მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	უროლოგიური, გასტროენტერო-ლოგიური **14**
სამტრედია	სამტრედია	ბალნეოლო-გიური **3**	25 მ. **2**	სულფატური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს) გინეკოლოგიური **4**
სიმონეთი	თერჯოლა	ბალნეოლო-გიური **3**	**2**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
სიონი	ყაზბეგი	კლიმატური **2**	1900მ **4**	ნახშირმჟავა **2**	პულმონოლოგიური, გასტროენტერო-ლოგიური **5**
სორტუანი	ონი	კლიმატო-ბალნეოლო-გიური **1**	788 მ **3**	ნახშირმჟავა **2**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
სოხუმი	სოხუმი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, **8**

სულორი	ვანი	ბალნეოლო- გიური **3**	200მ. **2**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
სურამი	ხაშური	კლიმატური **2**	760მ. **3**	სუსტად სულფიდური **1**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური **5**
სქური	წალენჯიხა	ბალნეოლო- გიური **3**	450მ. **3**	ქლორიდულ- სულფატური **6**	გასტროენტერო- ლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს) **11**
ტბა	ბორჯომი	კლიმატური **2**	1250მ **4**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
ტყვარჩელი	ტყვარჩელი	ბალნეოლო- გიური **3**	440მ. **3**	ქლორიდულ- სულფატური **6**	ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლგიური (პნს) **4**
ურეკი	ოზურგეთი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური, კარდიოლოგიური **5**
უწერა	ონი	ბალნეო- კლიმატური **5**	1600მ **4**	ნახშირმჟავა **2**	პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, გასტროენტერო- ლოგიური **15**
უჯარმა	საგარეჯო	ბალნეო- კლიმატური **5**	880-960 მ. **3**	კარბონატულ- ჰიდროკარბონა ტულ- ქლორიდული **7**	ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური (პნს), დერმატოლოგიური **4**
ფასანაური	დუშეთი	კლიმატო- ბალნეოლო- გიური **1**	1050მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ართროლოგიური **5**
ქვიშხეთი	ხაშური	კლიმატო- ბალნეოლო- გიური **1**	7500 მ. **3**	სუსტად სულფიდური **1**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
ქობულეთი	ქობულეთი	კლიმატური **2**	ზღვისპირი **1**	--------	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური **8**
ყანჩავეთი	ახალგორი	ბალნეო- კლიმატური **5**	960 მ. **3**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, გინეკოლოგიური **4**
ყაზბეგი	ყაზბეგი	კლიმატო- ბალნეოლო- გიური **1**	1744მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, გასტროენტერო- ლოგიური **5**
ყვარელი	ყვარელი	ბალნეოლო- გიური **3**	450 მ. **6**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური **4**
შოვი	ონი	კლიმატო- ბალნეოლო- გიური **1**	1600მ **4**	ნახშირმჟავა **2**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, გასტროენტერო- ლოგიური **5**
ჩითახევი	ბორჯომი	კლიმატური **2**	870მ. **3**	--------	ფტიზიატრიული (ძვალ-სახსროვანი) **1**

ცაიში	სენაკი	ბალნეოლო- გიური **3**	120-150 მ. **2**	სულფიდური **1**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური **4**
ცემი	ბორჯომი	კლიმატური **2**	1120 მ. **4**	--------	პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული (ფილტვების) **5**
ცივი კოდა	საგარეჯო	კლიმატური **2**	1500 მ. **4**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
ციხისძირი	ქობულეთი	კლიმატური **2**	70-90 მ. **1**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) **5**
ციხისჯვარი	ბორჯომი	კლიმატური **2**	1800 მ. **4**	სუსტად სულფიდური **1**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, ართროლოგიური **5**
წავკისი	გარდაბანი	კლიმატური **2**	960მ. **3**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
წაღვერი	ბორჯომი	ბალნეო- კლიმატური **5**	1020-1050 მ. **4**	ნახშირმჟავა **1**	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, გასტროენტერო- ლოგიური **5**
წოდორეთი	გარდაბანი	კლიმატური **2**	880მ. **3**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
წყალტუბო	წყალტუბო	ბალნეოლო- გიური **3**	95-120მ. **2**	რადონული, ქლორიდული **8**	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური, კარდიოლოგიური **12**
წყნეთი	თბილისი	კლიმატური **2**	800-110 მ. **3**	--------	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური **5**
ხიდიკარი	ამბროლაური	ბალნეოლო- გიური **3**	680მ. **3**	სუსტად სულფიდური **1**	ართროლოგიური **10**
ხოვლე	კასპი	ბალნეოლო- გიური **3**	780მ. **3**	სუსტად სულფიდური **1**	ართროლოგიური **4**
ჯავა	ჯავა	ბალნეოლო- გიური **3**	1120მ. **4**	ნახშირმჟავა **2**	გასტროენტერო- ლოგიური **11**

კურორტების მოცემულ ნუსხაში არაერთია ისეთი (ასპინძა, ახალციხე, ბაღდათი, ბუგეული, გორიჯვარი, ტბა, სიმონეთი, სამტრედია, ნოქალაქევი, მიუსერა, კურსები, კვერეთი, ზეკარი, გუმისთა, ჩითახევი, ხოვლე, ხიდიკარი, წოდორეთი, ციხისჯვარი და სხვ.), რომლის კურორტისადმი კუთვნილება, კურორტის არსიდან გამომდინარე, კითხვის ნიშნებს აჩენს. ამგვარ კურორტებს არასოდეს ჰქონდა ის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, არ ჰყავდათ შესაბამისი სამედიცინო პერსონალი და არ გააჩნდათ სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებები, ტრადიციები და ყოველივე ის, რაც აუცილებელია კურორტის სტატუსის განსაზღვრისათვის. ამგვარი ნუსხა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, სადაც განმარტებულია, რომ კურორტი წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულე-

ბა, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები (https://www.economy.ge).

ზემოთ აღნიშნული ბრძანებულების მიხედვით, საქართველოში **საკურორტო ადგილის** სტატუსი მიკუთვნებული აქვს 169 ლოკაციას. აქაც პრაქტიკულად გაუგებარია, რა პრინციპით იქნა შერჩეული და შედგენილი საკურორტო ადგილების ნუსხა, რადგან მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილია ცნობილი, როგორც ტრადიციული სამკურნალო ადგილი (აბანო, ბობოყვათი, დიდი ვანი, კობი, ლაძგვერია და სხვ.). თანაც ამავე ნუსხაში იშვიათადაა მითითებული სამკურნალო-მინარალური წყლების ტიპი, რაც განსაზღვრავს საკურორტო ადგილის სამედიცინო პროფილს (მაშინ როცა, ამგვარი პროფილი ყველა საკურორტო ადგილს აქვს დადგენილი).

4. საქართველოს კურორტების ზოგიერთი რეკრეაციული და გეოგრაფიული მახასიათებელი

საქართველოს კურორტების უდიდესი ნაწილი კლიმატური (თითქმის ნახევარი) და ბალნეოლოგიური პროფილისაა. ამგვარი ვითარება მკაფიოდ მეტყველებს საქართველოს კლიმატურ მრავალფეროვნებასა და მინერალური (თერმული) წყლების დიდ რაოდენობაზე, აგრეთვე, მთიანი რელიეფის და მაგმური წარმოშობის გეოლოგიური აგებულების მასშტაბებზე, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების რაოდენობაზე.



ნახ. 4. საქართველოს კურორტების და საკურორტო ადგილების ტიპები

	კურორტის ტიპი	**რ-ბა**	**%**
1	კლიმატო-ბალნეოლოგიური	12	11.6
2	კლიმატური	**45**	44.0
3	ბალნეოლოგიური	27	26,0
4	ტალახით სამკურნალო	2	1.9
5	ბალნეო-კლიმატური	17	16.5

საქართველოს კურორტების უდიდესი ნაწილი ზღვისპირა, დაბალი და საშუალო მთების არეალშია წარმოდგენილი. გაცილებით ნაკლებია კურორტების რაოდენობა ვაკე-დაბლობების, ზეგნებისა და ქვაბულების, აგრეთვე მაღალი მთის პირობებში. ამგვარი ვითარება უკავშირდება შავი ზღვის და მისი სანაპი-

რო ზოლის მაღალ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დანიშნულებას, დაბალ და საშუალო მთებში მინერალური წყლების და რეკრეაციულად ფასეული მცენარეულობის (წიწვოვანი და შერეული ტყეები) გავრცელების დიდ მასშტაბებს.



ნახ. 5. საქართველოს კურორტების და საკურორტო ადგილები მდებარეობის ნუმერაცია ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის მიხედვით

	კურორტის მდებარეობა	**რ-ბა**	**%**
1	ზღვისპირა	25	24.4
2	ვაკე – დაბლობი	9	8.7
3	დაბალი მთა	33	32.0
4	საშუალო მთა	28	27.1
5	მაღალი მთა	2	1.9
6	ზეგნები და ქვაბულები	6	5.9

საქართველოში მინერალურ წყალთან დაკავშირებული კურორტების (სულ 61 ერთეული კურორტების ოფიციალური ნუსხის მიხედვით) უდიდესი ნაწილი უკავშირდება სულფიდურ-სულფატური და ნახშირმჟავა ტიპის წყლებს. საინტერესოა ისიც, რომ ნახშირმჟავის შემცველობით გამორჩეულ წყლებთან დაკავშირებულია ისეთი მაღალი ცნობადობის და ეფექტურობით გამორჩეული კურორტები, როგორებიცაა ბორჯომი, უწერა, ლებარდე, ლიკანი, საირმე, ნაბეღლავი, შოვი და სხვ. სულფიდურ-სულფატური წყლებით გამოირჩევიან შედარებით ნაკლებად ცნობილი კურორტები, როგორებიცაა წაღვერი, ქვიშხეთი, სურამი, ციხიჯვარი, ცაიში, ნუნისი, მიტარბი და სხვ. ამგვარი მინერალური წყლები, ძირითადად, დაკავშირებულია ვულკანურ ქანებთან, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული როგორც ცენტრალური, ისე მცირე კავკასიონის ფარგლებში.

ნახ. 6. საქართველოს კურორტების და საკურორტო ადგილების ნუმერაცია მინერალური წყლის ტიპის მიხედვით და რუკის ლეგენდა

	მინერალური წყლის ტიპი	**რ-ბა**	**%**
1	სულფიდურ-სულფატური	**32**	**52.4**
2	ნახშირმჟავა	**22**	**36.1**
3	ქლორიდული	**1**	**1.6**
4	ტალახის	**1**	**1.6**
5	ქლორიდულ-ნატრიუმიანი	**1**	**1.6**
6	ქლორიდულ – სულფიდური	**2**	**3.3**
7	კარბონატულ-ჰიდროკარ-ბონატულ-ქლორიდული	**1**	**1.6**
8	რადონული, ქლორიდულ-სულფიდური	**1**	**1.6**

საქართველოს კურორტების უმრავლესობაზე ერთდროულად რამდენიმე დაავადების მკურნალობაა შესაძლებელი. თუმცა სამკურნალო პროფილის წამყვანი მახასიათებლის მიხედვით და რაოდენობით გამოირჩევიან ართროლოგიური და პულმონოლოგიური (ფილტვებისა და სასუნთქი სისტემის დაავადებები) პროფილის კურორტები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რამდენიმე ათეული მინერალური წყალი გამოიყენება ართრიტთან დაკავშირებული დაავადებების სამკურნალოდ. ართრიტი კრებითი სახელია, რომელიც 100-ზე მეტ დაავადებას აერთიანებს. მათ განსხვავებული გამომწვევი მიზეზები აქვს, შესაბამისად, გამოყოფენ ართრიტის სხვადასხვა ფორმას. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია სახსრების ანთება – ზოგიერთი ფორმების დროს ანთებითი პროცესი თავიდანვე იჩენს თავს, ზოგ შემთხვევაში კი ის დაავადების გამწვავებისას ვლინდება.რართრიტი პროგრესირებადი დაავადებაა, რომელიც სახსრებს აზიანებს. შედეგად, იზღუდება მოძრაობა, აღინიშნება დისკომფორტისა და ტკივილის შეგრძნება სახსრების არეში. მისი სხვადასხვა ფორმა ნებისმიერი ასაკის მოსახლეობაში გვხდება, მათ შორის ბავშვებშიც (https://todua-clinic.ge/blog/artriti).


საქართველოს კურორტები სამკურნალო პროფილის მიხედვით
პირობითი ნიშნები
სამკურნალო პროფილი
ალერგოლოგიური - [3]
ართროლოგიური - [36]
გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური - [3]
გასტროენტეროლოგიური - [9]
გინეკოლოგიური - [1]
დერმატოლოგიური - [1]
კარდიოლოგიური - [7]
ნევროლოგიური - [1]
ნეფროლოგიური - [1]
პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური - [6]
პროფილაქტიკური - [5]
პულმონოლოგიური - [25]
უროლოგიური - [1]
ფტიზიატრული - [4]
რუსეთი
ფოთი
ზუგდიდი
ამბროლაური
ყუთისი
ბორჯომი
მცხეთა
თელავი
ბათუმი
ახალციხე
თბილისი
რუსთავი
ფოთი
ზ ღ ვ ი ს
ფ ო თ ი
ს ა ფ ო ნ ტ ი
ფ ო ნ ტ ი
ფ ო ნ ტ ი

საქართველოს კურორტების უდიდესი ნაწილი ზღვისპირა, დაბალი და საშუალო მთების არეალშია წარმოდგენილი. გაცილებით ნაკლებია კურორტების რაოდენობა ვაკე-დაბლობების, ზეგნებისა და ქვაბულების, აგრეთვე მაღალი მთის პირობებში.

საქართველოს კურორტების უმრავლესობაზე ერთდროულად რამდენიმე დაავადების მკურნალობაა შესაძლებელი. თუმცა სამკურნალო პროფილის წამყვანი მახასიათებლის მიხედვით და რაოდენობით გამოირჩევიან ართროლოგიური და პულმონოლოგიური (ფილტვებისა და სასუნთქი სისტემის დაავადებები) პროფილის კურორტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები. თბ., 2016, გვ. 512.
2. ელიზბარაშვილი ნ. და სხვ. საქართველოს ბუნება – ჩვენი ფასეულობები. თბ., 2013, გვ. 332.
3. სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია. თბ., 2011, გვ.168.
4. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. თბ., 2000, გვ. 357.
5. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 2000, გვ. 312.
6. რ. ელიზბარაშვილი (2020). რეკრეაციული გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, №10, გამომ. თსუ, გვ. 66-74.
7. ელიზბარაშვილი რ. (2023). ადამიანის ეკოლოგია და ბუნებრივი გარემოს ელემენტების რეკრეაციული შეფასების ზოგიერთი აქტუალური საკითხი (საქართველოს მაგალითზე). თსუ ინტერდისციპლინური ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, №13, გამომ. თსუ, გვ. 57-67.
8. Nodar Elizbarashvili, Zurab Laoshvili, Giorgi Dvalashvili, Rusudan Elizbarashvili (2021). Geographical Diversity of Georgia and Perspectives of Planning of Geoparks (Geo Heritages). Advances in Geographical and Environmental Sciences. Chapter 1 In Springer Book: Global Geographical Heritage, Geoparks and Geo tourism. pp.3-13. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-981-15-4956-4_1
9. R. Elizbarashvili (2025). Geographical Characteristics of Natural-Recreational potentials of Resorts of Georgia. Caucasus Geographical Review, №12, p.103-107. https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1686
10. Nodar Elizbarashvili, David Svanadze, Rusudan Elizbarashvili, Miranda Gurgenidze, Luiza Bubashvili. (2025). The importance of Georgia's resort and recreational resources and geographical classification of resorts. Часопис социально-экономической географии», №38, http://www.geograf.com.ua/chseg
11. https://uk.search.yahoo.com/search;_ylt=AwrLAhQrLFBo
12. https://toduaclinic.ge/blog/artriti.
13. https://www.economy.ge.
14. https://iverieli.nplg.gov.ge.